საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. ი.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.04.2016

საჩივრის რეგისტრაციის №025/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. კ.-ს მიმართ /სიითი № სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. კ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2016 წლის 04 აპრილს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. ი.-მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივარში მითითებულია, რომ 2015 წელს ა. ი. ზეპირი ფორმით შეუთანხმდა ადვოკატ ლ. კ.-ს საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. კერძოდ, მას სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დაეცვა საჩივრის ავტორის მამის - ს. ი.-ს ინტერესები, რომელსაც 2007 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. საჩივრის ავტორი ადვოკატს პერიოდულად უხდიდა ჰონორარს, სულ გადაუხადა 2 000 (ორი ათასი) ლარი.

1.3. საჩივრის მიხედვით, ადვოკატმა ა. ი.-სთან არ გააფორმა საადვოკატო მომსახურების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება. ადვოკატმა ლ. კ.-მ არ განახორციელა კვალიფიციური მომსახურება მის საქმეზე, კერძოდ, „ჩაიდინა თაღლითობა“ და მიუხედავად დაპირებისა, მან შეთანხმებულ ვადაში არ გაათავისუფლა ს. ი. ციხიდან და მიითვისა მის მიერ გადახდილი ჰონორარი.

1.4. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან რამდენჯერმე მიმართა ადვოკატ ლ. კ.-ს თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ. ასევე, ადვოკატმა სატელეფონო საუბრისას უხეში და უცენზურო სიტყვებით მოიხსენია იგი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. კ.-მ წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 13 აპრილს, რომლის თანახმადაც, 2015 წლის აგვისტოს თვეში ის შეხვდა ა. ი.-ს, იმ მოტივით რომ, სჭირდებოდა ადვოკატი მამისთვის, რომელიც სასჯელს იხდიდა სსკ-ის 260-ე მუხლით და სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორს ჰკითხა, თუ რისთვის სჭირდებოდა ადვოკატის დახმარება, რაზეც მან უპასუხა, რომ მოწმეებს, რომელთა ჩვენების საფუძველზეც მამის - ს. ი.-ს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, სურდათ ჩვენების შეცვლა მის სასარგებლოდ. ა. ი.-ს სურდა, რომ ადვოკატს შეედგინა გამოკითხვის ოქმები და საჩივართან ერთად გადაეგზავნა იგი საქართველოს მთავარ პროკურატურაში და დაწყებულიყო გამოძიება ახლად აღმოჩენილი გარემოების საფუძვლით.

2.3 ადვოკატმა მოიძია ინფორმაცია ხომ არ იცავდა ასხვა ადვოკატი ს. ი.-ს ინტერესებს, რის შემდგომაც მხარეები შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის ოდენობაზე - 1000 (ათასი) დოლარზე, რაც მოიცავდა საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის გაწეულ ყველა ხარჯს.

2.4 ადვოკატის განცხადებით, შეთანხმების საფუძველზე ადვოკატს უნდა ენახა საჩივრის ავტორის მამა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ასევე, მომჩივანს უნდა მოეყვანა ერთ-ერთი მოწმე ლ. გ., რომელიც მსჯავრდებულ ვ. ბ.-სთან ერთად შეცვლიდა ს. ი.-ს სასარგებლოდ ჩვენებას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 25 აგვისტოს იგი შევიდა სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში მსჯავრდებულ ს. ი.-სთან. მათი შეხვედრის დროს ს. ი.-მ ადვოკატს გადასცა მსჯავრდებულ ვ. ბ.-ს მიერ მთავარი პროკურორის სახელზე დაწერილი საჩივარი და სთხოვა გაერკვია საჩივარზე მართლაც ვ. ბ.-ს ხელმოწერა იყო თუ არა. აღნიშნული დოკუმენტი მას მისმა ყოფილმა ადვოკატმა შეუტანა. საჩივრის ავტორის მამამ - ს. ი.-მ ადვოკატ ლ. კ.-ს გადასცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ მასსა და მის ყოფილ ადვოკატს უარი ეთქვათ ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე და ადვოკატ ლ. კ.-ს სთხოვა აღნიშნული გაესაჩივრებინა უზენაეს სასამართლოში. ამ მიზნით, ადვოკატი ლ. კ. 2015 წლის 30 აგვისტოს შევიდა ს. ი.-სთან, შეუტანა საჩივარი ხელმოსაწერად და ჩააბარა იგი №8 დაწესებულებას გასაგზავნად.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის ტელეფონით დაუკავშირდა მოწმე ლ. გ.-ს, რომელმაც უთხრა რომ, იგი არ აპირებდა ს. ი.-ს საქმეზე ჩვენების მიცემას. ადვოკატმა განახორციელა აღნიშნული საუბრის აუდიო ჩაწერა.

2.7 ადვოკატმა განმარტა, რომ იგი შეხვდა მოწმე ვ. ბ.-ს სასჯელაღსრულების №17 დაწესებულებში, გამოკითხა იგი, შეადგინა გამოკითხვის ოქმი. ვ. ბ.-მ დაადასტურა დოკუმენტზე მისი ხელმოწერის ნამდვილობა, რომლის გაკეთებაც ადვოკატს დაავალა მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ს. ი.-მ.

2.8 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე დოკუმენტაციის მოგროვების შემდეგ იგი შეხვდა საჩივრის ავტორს, აუხსნა საქმის ვითარება, რომ აპირებდა საქმის მასალების ჩატანას სამეგრელო ზემო სვანეთის პოლიციაში, სადაც წარმოებაში იყო ეს საქმე.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მომჩივანთან მისი ბოლო შეხვედრისას, ა. ი.-მ მას მოსთხოვა გადაეცა ის დოკუმენტები, რომელიც ადვოკატმა მოიპოვა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ასევე, მომჩივანმა მოითხოვა ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნება იმ მოტივით, რომ ის წყვეტდა მასთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მან უარი განაცხადა ჰონორარის დაბრუნებაზე, ვინაიდან, მან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებულ მოვალეობას შეთანხმების ფარგლებში. ადვოკატ ლ. კ.-ს განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ის ფაქტი, რომ იგი მომჩივანს ს. ი.-ს პატიმრობიდან გათავისუფლებას შეპირდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1. ადვოკატი ლ. კ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი N სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2. ა. ი.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით 2016 წლის 04 აპრილს მომართა.

3.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2015 - 2016 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. კ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის „ზ" პუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორმა ა. ი.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა საჩივარი, რომელიც ხელმოწერილია არაქართულ ენაზე, ხოლო მისი ტექსტი ქართულ ენაზეა შედგენილი.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-7 მუხლის და მე-9 მუხლის „ზ" პუნქტის თანახმად, დისციპლინური კოლეგია არსებითად აღარ იხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების

შეწყვეტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი წარმოდგენილია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო რეკვიზიტების დარღვევით.

5.3 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ნების არსებობა საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებით უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მხოლოდ ფორმალურად შედგენილი საჩივრის საფუძველზე, ხოლო წარმოდგენილი საჩივრის შინაარსობრივად აღქმის და განსჯის საშუალება საჩივრის ავტორს არ გააჩნია, ვინაიდან ის არ ფლობს ქართულ ენას. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივარი ხელმოწერილია არაქართულ ენაზე, ხოლო ტექსტი ქართულ ენაზეა შედგენილი, აგრეთვე, საჩივარზე მტკიცებულების სახით თანდართულია არაქართულენოვანი დკუმენტი. მომჩივნის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განცხადებას არ ახლავს თარჯიმნის მიერ ქართული ენიდან მისთვის გასაგებ ენაზე დამოწმებული ტექსტი. ამდენად, საჩივრის ავტორისთვის გასაგებ ენაზე შედგენილი და ქართულად თარგმნილი ნოტარიულად დამოწმებული საჩივრის გარეშე შეუძლებელია ობიექტურად დადგინდეს მისი ნება წარმოდგენილი საჩივრის წარმოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ადვოკატ ა. ი.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.4 ა. ი.-ს შეუძლია განმეორებით მომართოს ეთიკის კომისიას საჩივრით, იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი წარმოდგენილი იქნება საჩივრის რეგისტრაციისთვის სავალდებულო მოთხოვნების შესაბამისად.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-7 მუხლით, მე-9 მუხლის “ზ” ქვეპუნქტით, მე-19–მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N025/16 ადვოკატ ლ. კ.-ს მიმართ /სიითი №4934/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/